სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/22

ქ. თბილისი 15 მაისი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების ჩამოწერის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის მიზნით შექმნილი კომისიის 2025 წლის 3 ნოემბრის №8, №9 და 4 ნოემბრის №7 სხდომის ოქმების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2026 წლის 22 აპრილის №0000467087 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 15 მაისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ჩამოწეროს ქვემოთ ჩამოთვლილი ამორტიზებული და შემდგომში გამოსაყენებლად უვარგისი მატერიალური ფასეულობები:

- სტუ-ის (ეკონომური საქმიანობის საორგ. კოდი 32 04 05 05) მე-3 და მე-4 სასწავლო კორპუსების ეზოში მდებარე შემდეგი დამხმარე (ამორტიზებული) ავარიული შენობები: (ს/კ 01.10.13.023.181): 21/1 (საბალანსო ღირებულებით 65780.00 ლარი); 22/1 (საბალანსო ღირებულებით 5700.00 ლარი); 23/2 (საბალანსო ღირებულებით 2800.00 ლარი); 33/1 (საბალანსო ღირებულებით 1900.00 ლარი); 34/1 (საბალანსო ღირებულებით 1200.00 ლარი) (მდებარე, ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77);

- სტუ-ის ბალანსზე რიცხული საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ექსპლუატაციისთვის უვარგისი: ავტომანქანა გაზ3110, სახ. ნომ. MMW 970, გამოშვების წელი 2000, ძარა 0308816, შასი 0895622, ძრავა 3003654, ღირებულებით 8030.00 ლარი; ავტომანქანა ფორდ-სიერა 2.0CL სახ. ნომ. MXM 851, გამოშვების წელი 1993, ძარის, ძრავის და შასის ნომრები არ აღენიშნება, ღირებულებით 5500.00 ლარი;
- სტუ-ის ბალანსზე რიცხული საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი 2315 დასახელების საექსპლუატაციოდ გამოუსადეგარი ძირითადი აქტივი, საერთო ღირებულებით 937 231,73 ლარი;
- სტუ-ის ბალანსზე რიცხული ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრებით შეძენილი 2529 დასახელების საექსპლუატაციოდ გამოუსადეგარი ძირითადი აქტივი, საერთო ღირებულებით 1 734 246,56 ლარი;
- სტუ-ის ბალანსზე რიცხული საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი 1638 დასახელების საექსპლუატაციოდ გამოუსადეგარი მცირეფასიანი აქტივი, საერთო ღირებულებით 58 474,28 ლარი;
- სტუ-ის ბალანსზე რიცხული ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული სახსრებით შეძენილი 12731.02 დასახელების საექსპლუატაციოდ გამოუსადეგარი მცირეფასიანი აქტივი, საერთო ღირებულებით 350 737,15 ლარი.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**